

## პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები

საქართველოს მთავრობის N131 დადგენილების და პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის 59/ნ ბრძანების საფუძველზე სსიპ კოლეჯმა „ახალი ტალღა“ მიიღო უფლებამოსილება განახორციელოს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები, რომლის დასრულების შემდეგ მსმენელზე გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი.

პროფესიული გადამზადებისა და პროფესიული მომზადების პროგრამები ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით. კერძოდ, ზოგიერთი სწავლების შედეგი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში. სწავლების პრაქტიკული კომპონენტი სრულად ჩატარდება პარტნიორ ორგანიზაციაში. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას განახორციელებს პარტნიორ ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი სპეციალისტი.

პროფესიული გადამზადებისა და პროფესიული მომზადების პროგრამების მოზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით გადაამზადოს ან მოამზადოს დროის მოკლე პერიოდში კონკრეტული ცოდნისა და უნარების მქონე კადრი და შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა .

### პროგრამების ჩამონათვალი:

1. პროფესიული გადამზადება - "ელექტროსამონტაჟო სამუშაოები";
2. პროფესიული მომზადება - "ელექტროსამონტაჟო სამუშაოები";
3. პროფესიული მომზადება- "ლითონების შედუღება (MIG) და (MAG) გარემოში"
4. პროფესიული მომზადება - "სპლიტ სისტემის ჰაერის კონდიციონერის მონტაჟი"
5. პროფესიული მომზადება - "ფილებით კედლისა და იატაკის მოსაპირკეთებელი სამუშაოების წარმოება"
6. პროფესიული გადამზადება - "კერძების მომზადების ტექნოლოგია";
7. პროფესიული მომზადება - "სარესტორნო სერვისის წარმოება";
8. პროფესიული გადამზადება- "სასტუმროს დასუფთავების მომსახურება"